

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი: ბატონებო, დავიწყოთ დღევანდელი ჩვენი შეკრება. მოგესხენებათ, რომ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარი უკვე მეოთხე შეკრებას ატარებს სხვადასხვა თემაზე, ეს თემატიკა შერჩეულია წინასწარ, იყო წინა შეხვედრები, წინა სასემინარო მუშაობა, საერთოდ სემინარის მუშაობა დაკავშირებულია, რა თქმა უნდა ეკლესიასთან და სასულიერო ცხოვრებასთან, სასემინარო პროექტში ამ სფეროსთან დაკავშირებით სხვადასხვა პრობლემატიკაა წამოწეული. ჩატარდა, როგორც მოგახსენეთ, რამოდენიმე შეკრება, რომელიც რწმენისა და ეკონომიკის საკითხებს შეეხებოდა, შეეხებოდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ურთიერთობის საკითხებს, იყო რელიგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები და დღეს არის, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი თემა, ეს გახლავთ ეკლესიისა და ოჯახის ურთიერთობა. მოგესხენებათ, რომ ოჯახი არის საფუძველი საზოგადოებისა და შეიძლება ითქვას სახელმწიფოსი, თუ მე სწორი ვარ, მაგრამ მე შეიძლება მეშვებოდეს, კომუნისტურ პერიოდში, ენგელსს აქვს მთელი მონოგრაფია, რომელსაც ასე ეწოდება: „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. მაგრამ, პრინციპში, თუ მე ასე აღვიქვამდი მაშინ, ეს კომუნისტური იდეოლოგია ოჯახს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, თუ საერთოდ აქცევდა და მათთვის კლასობრივი სტრუქტურა იყო მთავარი და კლასი იყო განმსაზღვრელი ადამიანის სულიერების, ზნეობრიობის და ა.შ. მაგრამ ეს მცდარი მიდგომაა. დღეს, საბედნიეროდ, ეს ასე აღარაა და დღეს შეიძლება იმის თქმა, რომ ოჯახი არის ის, სადაც ყალიბდება მომავალი ადამიანი, სადაც ბავშვი იზრდება, სადაც შეიცნობს იმ ძირითად ღირებულებებს ამ ცხოვრებისეულს, ზნეობრივს თუ სულიერ სხვა ღირებულებებს, რომელიც ამ ოჯახში ტრიალებს და ჩემი აზრით ადამიანის მორალური პორტრეტი ოჯახზეა დამოკიდებული და არა გარეშე საზოგადოებაზე და მითუმეტეს დაწესებულებებზე და სხვადასხვა, ამიტომ ეს საკითხი ძალიან დიდი მნიშვნელობისაა ჩვენთვის. დღეს ეს მნიშვნელოვანი საკითხია, დღეს ამ პრობლემას ეხება ჩვენი მუშაობა სემინარისა და მოვისმენთ, თუ როგორ აყენებენ და წყვეტენ ამ პრობლემას ჩვენი მომხსენებლები. ამ სემინარს, მე კი გავხსენი, როგორც ეს მევალება, მაგრამ წაიყვანს პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი, ამიტომ მე მას გადავცემ სიტყვას.

პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი:

თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, მეუფენო, ღირსნო მამანო, ქალბატონებო და ბატონებო.

ვაგრძელებთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ეპისტოლეებში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების მეცნიერული უზრუნველყოფისა და პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სემინარის: „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“ მუშაობას. დღევანდელი სემინარი ეძღვნება საქართველოს საზოგადოებისათვის მეტად უმნიშვნელოვანეს პრობლემას – ოჯახის თემას, რასაც მისი უწმიდესობა ბოლო წლებში გამორჩეულ ყურადღებას უთმობს: „**განსაკუთრებული ყურადღება ოჯახს უნდა მივაქციოთ.** ძველ დროში სულიერებას საფუძველი ოჯახში ეყრებოდა. ბავშვი ხელავდა და ისმენდა როგორ ლოცულობდნენ მშობლები, იმანსოვრებდა საალერსო სიტყვებს დედისას, აფასებდა მათ პატიოსნებას; სადამოობით, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, ლიტურატიურული სადამოები ეწყობოდა; აღფრთოვანებით ისმენდნენ ზღაპრებს, ისმენდნენ მუსიკას, კითხულობდნენ წმინდანთა ცხოვრებას. შაბათ-კვირას

მშობლებს შეილება ყოველ მიზეზს გარეშე ტაძარში მიჰყავდათ. გარდა ამისა, **ოჯახი ყველა წევრს თავის მოვალეობა ჰქონდა**. დღეს ეს ყოველივე მოშლილია და აღდგენას საჭიროებს.“

ოჯახი ბურჯია ერისა. ადამისა და ევას ბიბლიური ოჯახი უფლის მიერ შექმნილი ოჯახია. ცოდვითი დაცემის შემდეგ კი ოჯახმა შეიძინა „კაენის ცოდვა“, „ელექტრას კომპლექსი“, „ოიდიპოსის კომპლექსი“ - მათ შესახებ ამომწურავად ვისაუბრეთ წინა სემინარზე და სიტყვებში გამოსულმა ორატორებმა დამაჯერებლად აჩვენეს, რომ მათი დაძლევის ერთ-ერთი მთავარი საშუალება მართლმადიდებლური მოძღვრების გათავისება და მანვე კომპლექსების წინააღმდეგ მიმართული ინტენსიური ბრძოლაა.

ქრისტიანობის გავრცელებამ ადამიანს, მათ შორის ოჯახსაც, მისცა საშუალება რადიკალურად შეეცვალა ვითარება – საოჯახო ურთიერთობა დაეფუძნებინა სიყვარულის, სათნოების, ურთიერპატივისცემის ზნეობრივ და ქრისტიანულ პრინციპებზე. ეს ასეც მოხდა უამრავ ოჯახში. მაგრამ ნაკლი წარსულშიც ბევრი იყო, ზოგჯერ საქმე კურიოზამდეც მიდიოდა – ხომ ცნობილია, რომ ინგლისის მეფე ჰენრი VIII რომის კათოლიკურ ეკლესიას თავისი სახელმწიფო სწორედ თავის ოჯახური პრობლემის მოსაწესრიგებლად ჩამოაშორა.

საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები მუდამ გარკვეულ დაღს ასვამდა ოჯახის განვითარებას, ეროვნული თავისებურება კი გამორჩეულ ელფერს ანიჭებდა მას. საქართველოში ოჯახის მშენებლობის, გაძღოლის ძირძველი ტრადიციები ჩამოყალიბდა, რაც მტკიცედ დაეფუძნა მართლმადიდებლობის მოძღვრების პრინციპებს.

XVIII-XIX საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში განვითარებული სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობა ათეისტურ შეხედულებებთან ერთად, ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ მოსაზრებებსაც ავრცელებდნენ: განჩნდა შეხედულება, რომ ოჯახი – კერძო საკუთრების საფუძველია, რომ კერძო საკუთრების მოსპობა შეუძლებელია ოჯახის ტრადიციული ფორმების რევოლუციური ნგრევის გარეშე. ეს მოსაზრება გახდა სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების ერთ-ერთი არსი: ოჯახის ნაცვლად – საერთო საცხოვრებლები, „საზიარო ცოლები“, „საზიარო შეილები“ - ეს ყველაფერი ლიტონი სიტყვები არ იყო. პროპაგანდა ეწეოდა თავისუფალ სიყვარულს, ქალთა ემანსიპაციას. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეს იდეოლოგიური პოსტულატები საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებად გამოცხადდა: იქმნებოდა კომუნალური სახლები, ბავშვთა კოლექტორები, ინტერნატები და ა.შ. და ა.შ. ისინი მოწოდებული იყვნენ შეეცვალათ ქრისტიანული ოჯახის პრინციპები მარქსისტულ-ლენინურით.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ ეს პრინციპები საქართველოშიც გადმოინერგა. ბავშვის ჩამოცილება „ოჯახის მანვე ზეგავლენისაგან“ – აი მთავარი ამოცანა 20-იანი წლების საქართველოში. აი რას წერდა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ფუძემდებელი მარიამ ორახელაშვილი თავის საპროგრამო ნაშრომში: „ჩვენი მიზანია ისე გავზარდოთ ბავშვები, რომ ისინი ჰარმონიულად განვითარდნენ და შეიქმნას ახალი კომუნისტური საზოგადოების მკვიდრი წევრნი, გრძნობდნენ მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან, შეიგნონ კომუნისტური ფსიქოლოგია და შრომის უნარი, რომელსაც შეუძლია თავისი ნებისყოფა და ინტერესი დაუქვემდებაროს კოლექტივის ინტერესს“. იგეგმებოდა ბავშვის აღზრდის სრული ციკლი, რომელიც მოსწვევებდა ახალგაზრდას ოჯახის ზეგავლენას.

საბედნიეროდ, 30-იან წლებში სტალინი მიხვდა ასეთი შეხედულების მავნეობას და ოჯახის დანგრევის ამოცანა წარსულს ჩაბარდა, პირიქით – ოჯახი გამოცხადდა საზოგადოების უმნიშვნელოვანეს სოციალურ უჯრედად, თუმცა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში.

საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ, ქართული ოჯახის წინაშე ახლა უკვე სხვა, არანაკლებ საფრთხის შემცველი საშიშროება გაჩნდა: გლობალიზაციის

პროცესებმა საქართველოში შემოიტანეს ცნებები - „არატრადიციული ოჯახი“, „შვედური ოჯახი“, ამას დაემატა სამოქალაქო ომისა და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად „დეინილი ოჯახები“, ემიგრაციაში წასული ოჯახები, გადატაკებული და მატერიალურად დამცრობილი ოჯახები და ა.შ. ვითარება შემაშფოთებელია: „ყველაზე მძიმე სურათი კი ოჯახში იქმნება. ჩვენ მოწმენი ვართ თუ როგორ დაირღვა დღეს ოჯახის წონასწორობა და მყუდროება, გახშირდა განქორწინება, განსახლდრულია შობადობა. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, კატასტროფულ მდგომარეობამდე მივალთ“ - მიუთითებს მისი უწმიდესობა.

ქართული ოჯახი ქართული სახელმწიფოს საფუძველი იყო და უნდა გახდეს. ის დღეს სერიოზული პრობლემების წინაშეა. საჭიროა მათი გადაჭრა. სწორედ ამ ამოცანას აყენებს მისი უწმიდესობა და სამართლიანადაც მიიხნევს რომ ამის ერთ – ერთი საფუძველი ქართული ტრადიციული ოჯახის აღდგენაა. „ტრადიციულ ოჯახში ყოველთვის წესრიგია. აქ უფროსები შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობენ, ამასთან, ოჯახის ყოველ წევრს თავისი ფუნქცია, სახე და მოვალეობა აქვს“ – ხაზგასმით მიუთითებს მისი უწმიდესობა.

დღევანდელი ჩვენი სემინარის მიზანია წარმოვაჩინოთ ქართული ოჯახის თანამედროვე პრობლემები. ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა იმედოვნებს, რომ ჩვენი დღევანდელი მეცნიერული დისკუსია გახდება საფუძველი მომავალი კომპლექსური კვლევებისათვის, რომელიც მოგვცემს საშუალებას ზუსტად დაგადგინოთ, თუ რა უჭირს, რა პრობლემებია დღეს ქართული ოჯახის წინაშე, რომ შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამები, რომელთა რეალიზება ახალ თვისებრივ სიმაღლეზე აიყვანას ქართულ ოჯახს, უზრუნველყოფს მის მორალურ და მატერიალურ აღორძინებას, ხოლო ეს კი გახდება მთლიანად ქართული საზოგადოების ზეადმავალი განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველი.

მადლობა ყურადღებისათვის.

ახლა კი პატივცემულ მომხსენებლებს მოვუსმინოთ.

დეკანოზი ბიძინა (გუნია) – მოხსენება თან ერთვის.

პროფ. ავთანდილ სულაბერიძე – მოხსენება თან ერთვის

პროფ. ალექსანდრე დაუშვილი – ეხლა მე ვთხოვ მეუფე ნიკოლოზს თავისი დამოკიდებულება აქ წარმოდგენილი პრობლემებისადმი გაგვიზიაროს.

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი): მოგესალმებით, ძალიან საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ, რა თქმა უნდა, და პირველ რიგში ვიტყვოდი, რაც მამა ბიძინამ წაგვიკითხა, რომ ვუსმენდი, ვფიქრობდი, რომ ეს არის ის ჭეშმარიტებები, რომელზეც არ ვკამათობთ, არ ვდავობთ და კიდევ ერთხელ საჭიროა ამის განმეორება და მე ვფიქრობ, რომ ეს არის როგორც ლოცვა, ისე ხშირად უნდა ვიმეოროთ, იმიტომ რომ თვითონ სიტყვას აქვს ძალა. სახარებაშიც ესე წერია, როგორც მამა ბიძინამ წაიკითხა. ჩვენი პატრიარქიც ხშირად ახსენებს ამ სიტყვებს და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველანი ვეთანხმებით, მე ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის წერილები, ნაშრომები, შეიძლება უფრო დრმა გამოკვლევები საღვთო წერილის მიხედვით, ის რაც ნამდვილად სწორია, აუცილებლად უნდა იყოს, ბევრი უნდა იყოს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ხშირად უნდა ხდებოდეს ამის განმეორება. იმიტომ რომ, ადამიანი ამას მაინც ისმენს, იმახსოვრებს და ქვეცნობიერად ეს ილექება. რა თქმა უნდა კარგი იქნება ბავშვებსაც ესმოდეთ ეს, თუმცა თანამედროვე ცხოვრება ძალიან რთულია და ჩვენ ზოგადად ვლაპარაკობთ ამ ღირებულებებზე. სამწუხაროდ, აქაცაა

რაღაც კამათი და უცნაური შემოთავაზებები თანამედროვე საზოგადოების მხრიდან, განსხვავებული აზრები არსებობს მაგრამ მაინც ძირითადად ჩვენ, ერთი მხრივ, ვეთანხმებით ამას, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც ჩვენ რეალობის წინაშე ვდგებით ან პირად ცხოვრებაში, ან ახლობლებთან როცა გვაქვს ურთიერთობა, ძალიან რთულია ეს ყველაფერი. ასეთი უბიწო, მთლიანი, შვილმრავალი, ასეთი მტკიცე ოჯახის შენარჩუნება ძალიან ძნელია. ეს ადვილი არაა და კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან დიდი ძალისხმევაა ამისთვის საჭირო. მეორე მხრივ, მოვისმინეთ ბატონი ავთანდილის მოხსენება ზოგად სტატისტიკაზე და რა თქმა უნდა ესეც ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რეალურად რა საფრთხეები არსებობს, თუმცა ერთი რამ მინდოდა მეკითხა რომ, როდესაც თქვენ ბრძანებდით სტატისტიკასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ, რომ ბოლო პერიოდში, ბოლო 10-15 წელი, როდესაც ძალიან ინტენსიური გახდა, ოციც შეიძლება, თითქმის ყველა ოჯახი, რომელიც საქართველოში იქმნება, თითქმის, ყველა ჯვარს იწერს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ განქორწინება ხდება. ძირითადად ეკლესიაში ხდება ამ ოჯახის განშორება, ანუ მეორე ოჯახის შექმნაზე ლოცვა-კურთხევის მიცემა. ალბათ, ეს სტატისტიკაც რაღაც ერთმანეთთან კავშირში უნდა იყოს, არ ვიცი როგორ უნდა მოხდეს ამისი წარმოება, ალბათ ეს როდესაც მოგვარდება, სახელმწიფო როდესაც მოაგვარებს, ალბათ სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. ეს, მგონი საკონსტიტუციო შეთანხმებაშიც არის გათვალისწინებული, ეს დებულება, რომ ერთიანი სისტემა უნდა გახდეს ქორწინების რეგისტრირების და ჯვრისწერას იურიდიული ძალა უნდა მიენიჭოს. მაგრამ სინამდვილეში ესე არ არის ჩვენს ქვეყანაში. ალბათ მაშინ უფრო ზუსტი სურათი გვექნება, ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ საფრთხეების კვლევა, თუნდაც სტატისტიკური, თუნდაც სოციალური, ძალიან საინტერესოა.

მაგრამ მე ხშირად ვფიქრობ, გარდა ამ ორი დამოკიდებულებისა, რა შეიძლება კიდევ რომ გავაკეთოთ? თქვენ შეეხეთ კიდევ ამ საკითხს, რეალურად რა შეიძლება რომ გავაკეთოთ, რომ განვამტკიცოთ ეს აზრი საზოგადოებაში, ოჯახის ინსტიტუტის შესახებ. ალბათ, მე ასე მგონია და ყველაზე კარგი და ძნელიცაა კარგი მაგალითების წარმოჩენა, კარგი ოჯახების. ერთი მხრივ საღმრთო წერილიდან ხაზგასმა, იმიტომ რომ საღმრთო წერილში ძალიან ბევრია, განსაკუთრებით ძველ აღთქმაში, ბევრი კარგი, კეთილი ოჯახია, განვმარტოთ რა არის და რა მნიშვნელობა აქვს მას. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა ძალიან საინტერესო იქნება მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ან კინოფილმების გადაღება ამაზე და ჩვენ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეროვნულ ფასეულობებს ვეყრდნობით, მაგრამ ხშირად არის უცხოური ფილმებიც, სადაც ოჯახი პირდაპირ კი არ ჩანს, რაღაც სხვა თემაზეა ფილმი, მაგრამ იქ ფონია, რომ ოჯახი არის ჯანმრთელი, კარგი. ძალიან საინტერესო ფილმები გამოდის ბოლო წლებში ოჯახის იდეაზე. ამას წინათ ვნახე ახალი ფილმი, სულ ახალი ფილმია 2011 წლის, ბრედ პიტის თამაშობს, “ცხოვრების ხე”- ესე ჰქვია მას, ტერენს მალიკის ფილმია. ძალიან საინტერესო ფილმია, შეიძლება ცოტა საკამათოა, მაგრამ ოჯახი კარგად ჩანს, რა არის ოჯახი, რა პრობლემებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, თვითონ ის, რომ ოჯახის ინსტიტუტი არსებობს და რომ ოჯახი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია და კეთილია, ამ ფილმში ამაზე კამათი არაა.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ გარდა ამ ყველაფრისა, შეიძლება კიდევ ერთი რამის გაკეთება, რაც მე ბოლო პერიოდში ძალიან მხვდება თვალში, როდესაც ვარ ჩვენს პატრიარქთან მიღებებზე, მასთან მოდიან ხშირად ადამიანები სტუმრად და ძალიან

თვალში საცემია, როდესაც მასთან მოდიან ცოლ-ქმარი, ასაკოვანი ცოლ-ქმარი, რომელთაც პირდაპირ ეტყობათ როგორი ურთიერთობა აქვთ. ანუ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს რეალობაში, ვერ ვიტყვი რომ ძალიან ბევრი, მაგრამ არიან ასეთი ოჯახები, რომლებიც დიდი ხანია ერთად ცხოვრობენ და რომლებიც ნამდვილად კარგი ოჯახები არიან. ეს რომ ყურადღების ცენტრში იყოს, მე ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო იქნება. აი, რომ ჩანდეს ბედნიერი, ნამდვილი ოჯახი როგორია და როგორ შეიძლება, რომ ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდული გატაცებით თუ ახალგაზრდული სიყვარულით შეერთდნენ, როგორ გაიარეს ცხოვრება და ისევ როგორ უყვართ ერთმანეთი. მე მგონია, რომ ეს ძალიან საინტერესო იქნება. დაახლოებით ესაა, რისი თქმაც მინდოდა.

პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი: დიდი მადლობა მეუფეო. დამერწმუნებით, რომ უწმინდესის ეპისტოლეებში ხაზგასმულია ყოველთვის, რომ ქართული ოჯახის გადარჩენის საფუძვლებია ტრადიციულ ფასეულობებთან დაბრუნება. ქართული ოჯახი ძველ ტრადიციებს ეფუძნება და ჩვენ ორგანიზატორებმა გადავწყვიტეთ ქართული ოჯახის ტრადიციები წარმოვაჩინოთ თქვენს წინაშე იმიტომ, რომ ბევრმა ის დაივიწყა და დღევანდელი შემოტევის შედეგად ის აღარც ახსოვთ. მე ვთხოვდი ბატონ ვალერიან ითონიშვილს, პროფესორს, მრავალი წლის განმავლობაში სოციოლოგიური ურთიერთობების ეთნოლოგიური შემსწავლელი განყოფილების ხელმძღვანელს, რომ ჩამოაყალიბოს ქართული ტრადიციული ოჯახის ძირითადი პარამეტრები, რომელსაც უნდა მივბადოთ რახან მისი უწმინდესობა ამ საკითხს ესე რელიეფურად აყენებს.

პროფესორი ვალერიან ითონიშვილი: ქართული ოჯახის შესწავლისათვის აუცილებელია მრავალდარგოვანი კვლევები, რაც საკმაოდ სერიოზული შედეგებით აღინიშნა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში. აქ მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, ეთნოგრაფიული გამოკვლევები, ეთნოგრაფ სპეციალისტების მიერ ამის პარალელურად ნაყოფიერი სამუშაო ჩაატარეს იურისტებმა, სამართალმცოდნეებმა და მრავალი ნაშრომით გაამდიდრეს ქართული ტრადიციული ოჯახის შესწავლი ისტორია. არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე ისტორიკოსების დვაწლი, რომლებიც წერილობით წყაროებზე დაყრდნობით იკვლევდნენ ამ საკითხებს. საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი დიდი წინამორბედები, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანიას, გიორგი ყაზბეგი და სხვები, რომლებიც იკვლევდნენ ქართული ტრადიციული ოჯახის არა მარტო სტრუქტურას, არამედ თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფას და კულტურას და, რა საოცარი სურათი გამოჩნდა: იმის მიუხედავად, რომ ქართველები იქ გაამაჰმადიანეს, ქართული ტრადიციული ოჯახი არსებობას ინარჩუნებდა იმ სახით, როგორც ეს ჩვენ ყოფაში იყო. ეს არ არის შემთხვევითი. სრულიად გარკვევით თქვა ილია ჭავჭავაძემ, როგორც აქ მომხსენებელმა გაიხსენა, „ერის დაცემა მაშინ იწყება, როდესაც ის თავის ისტორიას ივიწყებს“, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ყველა ქართველ მოღვაწეს, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც საგანგებოდ შეადგინა პროგრამა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების საჭიროებისათვის. ეს პროგრამა გახდა საფუძველი ყველა ცნობილი ქართველი მოღვაწის მუშაობაში, რომელთაც დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვეს, ბევრი გამოქვეყნდა და ბევრს სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი მიეცა. აქ მხედველობაში მყავს თუნდაც ისეთი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: ნიკო ხიზინაშვილი, ბესარიონ ნიჟარაძე, ვაჟა-ფშაველა და მრავალი სხვა. მე-20 საუკუნეში ორგანიზებული ხასიათი მიეცა ეთნოგრაფიულ მუშაობას. პირველ რიგში აქ ძალიან დიდი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს სახელმწიფო

მუზეუმში, რომელიც თავდაპირველად ერთადერთი კერა იყო საქართველოში და იქ ეთნოგრაფიის განყოფილებამ საინტერესო შედეგებით აღნიშნა თავისი მუშაობა. ასევე ეთნოგრაფიის კათედრა სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბოლოს განსაკუთრებით ფუნდამენტური კვლევა ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. ყველაფერი ის იყო გათვალისწინებული, რაც დანერგეს დიდმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა, გიორგი მელიქიშვილმა.

ეხლა რაც შეეხება საკუთრივ ოჯახს, მე აქ არ გავაგრძელებ სიტყვას, არ შეგაწყნებ თავს. ოჯახის შესახებ მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნდა. მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო ის ტრადიცია, რომელიც ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა. შემთხვევითი არაა, რომ ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში იაკობ ხუცესმა მიაქცია ყურადღება ამ პრობლემას, თავის თხზულებაში გვაჩვენა ინდივიდუალური ოჯახის ტიპი. შემდგომ პერიოდში მრავალ დოკუმენტში აისახა სათანადო მონაცემი ქართული ოჯახის სტრუქტურის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ დემოგრაფიული მონაცემები უფრო გვიანდელი, მე-18 საუკუნისა და ქართული სამართლის ძეგლები. და აი ყველაფერი ეს, ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, გააზრებული და დალაგებული, გვაძლევს სურათს, რომელიც აშკარად გვიჩვენებს, როგორ ფაქიზად და გულსხმიერებით ეკიდებოდნენ ქართული ოჯახის შექმნას, ამას საფუძველი ეყრებოდა თვით საქორწინო ურთიერთობაში. შემთხვევითი არაა, რომ დიდმა დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოაწვევინა ეკლესიას და აქ განსაჯეს ის, თუ რა ასაკში და რა პირობებში შეიძლებოდა მომხდარიყო ქორწინება. შემდგომ ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემები აისახა გიორგი ბრწყინვალეს სამართალში და განსაკუთრებით ვახტანგ მეექვსის სამართალში. მე თავს აღარ შეგაწყნებ იმ ძეგლების მიმოხილვით, ყველაფერი ეს მოცემულია ამ წყაროებში, მაგრამ მაინც მთავარი როლი ეკისრებოდა ეთნოგრაფიულ მასალას და ამიტომ იყო, რომ მე-19 საუკუნის შემდგომ მე-20 საუკუნეში ინტენსიური ეთნოგრაფიული მუშაობა გაიშალა და შეიქმნა არაერთი სერიოზული გამოკვლევა. რას მიექცა ყურადღება, რა არის ქართული ოჯახი? პირველ რიგში მისი შემადგენლობა, არსებობდა როგორც ინდივიდუალური ოჯახი, ძირითადი ერთეული, ისე გზადაგზა შენარჩუნებული იყო წესი დიდი ოჯახების შესახებ. მეორე პრობლემა, რომელიც ამ ოჯახის შესწავლას ითვალისწინებდა, იყო მისი ეკონომიკური საფუძვლები, ე.ი. როგორ ვითარდებოდა ქართული ოჯახი, რა ედო საფუძვლად, რა ეკონომიკა ასულდგმულებდა. აქ უკვე აშკარად ჩანს რეგიონალური დამოკიდებულება მკვლევართა მიერ. ყოველ რეგიონს საქართველოში თავისი სპეციფიკა გააჩნდა და ამის შესაბამისად ვითარდებოდა ოჯახის ეკონომიკა. მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ესაა ოჯახის წევრთა ურთიერთობის ნორმები, უფროს-უმცროსობაზე დამყარებული ტრადიციები, სადაც არ შეიძლებოდა გადახვევა იმ გზიდან, რომ ოჯახს განაგებდა უხუცესი მამაკაცი, დიასახლისობდა ყველაზე ხნირი ქალი, რა თქმა უნდა, იმათ ცოდნას და გამოცდილებას მნიშვნელობა ენიჭებოდა და საჭირო შემთხვევაში შეიძლებოდა ოჯახის უფროსის შეცვლა უფრო ენერგიული და უფრო მომზადებული ხელმძღვანელით. აღზრდის სისტემა იყო უმაღლეს დონეზე აყვანილი. მოზარდი თაობა იზრდებოდა დიფერენცირებულად, როგორც სამამაკაცი, ისე საქალებო ინსტიტუტის შესაბამისად. აქ უკვე დიდ როლს ასრულებდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

ოჯახი სამ თაობას მოიცავდა, ზოგჯერ ოთხსაც და ხუთსაც. აქ დიფერენცირებული იყო თუ ვის რა ფუნქცია უნდა დაკისრებოდა, როგორ უნდა აღეზარდათ მოზარდი თაობა. ამ პირობის გარეშე შეუძლებელი იყო ოჯახის სიმტკიცეზე ფიქრი და შემთხვევითი არაა, რომ ყველა ქართველი მოღვაწე ოჯახს უყურებდა, როგორც ერის ბურჯს.

ოჯახის განვითარების გარეშე, ეროვნული საქმეები ვერ განვითარდებოდა, არც დღეს განვითარდება. სამწუხაროდ, დღეს ეროვნული ფასეულობანი მეტისმეტად განადგურებულია, შეიძლება ითქვას, რომ დანგრეულია და ასე მიაჩნიათ საჭიროდ ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს, რომ რაღაც ისეთი რეფორმები უნდა შემოიტანონ, რომელიც ერის განვითარებაში უფრო ოპტიმალური იქნება, ვიდრე ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ხალხმა, ქართველმა მოაზროვნე საზოგადოებამ შექმნა. ამ ურთიერთობაში ესაა სწორედ გასათვალისწინებელი, რომ დღეს აღზრდის სისტემაში, მე იმას კი არ ვამტკიცებ და არც შეიძლება ამის მტკიცება, რომ აღვადგინოთ დიდი ოჯახი - ეს შეუძლებელია, მაგრამ ტრადიცია, რაც დიდ ოჯახში არსებობდა, ურთიერთობის ნორმები, რაც უფროს-უმცროსობაზე იყო დამოკიდებული, როდესაც უფროსის სიტყვა ფასდებოდა და დღეს რომ ასე საოცრად იგნორირებულია უფროსი თაობა. ფაქტიურად ისე გამოდის, რომ ჩვენ ჩვენი თაობის ხალხს, უფროს თაობას არც აზროვნება შეგვიძლია, არც ეროვნული სიყვარული. ესაა უბედურება ჩვენი დღევანდელ ვითარებაში.

ქართული ოჯახის სტრუქტურის შესწავლის საკითხში, ბევრი რამ შესწავლილია, მაგრამ ჯერ კიდევ წინაა კვლევა და მე იმედი მაქვს, რომ ყველა მონაცემის მიხედვით, ყველა კომპონენტის მიხედვით შესწავლილი იქნება. მე ძალიან ზოგადად ვსაუბრობ ამ თემაზე, ვინაიდან კონკრეტულად ჩაძიება ამ საკითხებისა, ეს შეუძლებელია. აქ ისეთი საზოგადოებაა წარმოდგენილი, რომელიც იცნობს ამ შრომებს და მომავალშიც გაეცნობა. დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ისტორიულ მეცნიერებას გადაარჩენს, ესაა კვლევის ცენტრი, რომელიც დავით მუსხელიშვილის ინიციატივით შეიქმნა. ეს რომ არა, ჩვენ ეხლა აქ ვერ შევიკრიბებოდით, დავიქსაქსებოდით, მიუხედავად გაუსაძლისი მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ფაქტიურად სამუშაო დავკარგეთ და ამის მოტივი ყოფილა ასაკი, მაშინ როდესაც ასაკობრივი სიბრძნე არასოდეს უარყოფილი არ იყო საქართველოში და ამის მაგალითია, პირველ რიგში, მეცნიერებისადმი დამოკიდებულება. როგორც არ უნდა ვაკრიტიკოთ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლება, ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს, იმ პერიოდში აკაკი შანიძისთვის არავის უთქვამს, შენ 100 წელს მიღწეული ხარ და მუშაობას თავი უნდა დაანებო და არც სხვებისთვის უთქვამთ ეს, დაფასებული იყო მათი შრომა და ამით იზრდებოდა მომავალი თაობა. როგორც აღვნიშნეთ, ესაა ისტორიის, ეთნოლოგიის კვლევის ცენტრი. უნდა გაეუძლოთ, მე მგონი მაინც დროებითია ეს შეფერხება საქართველოში, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისა და ალბათ მოვესწრებით ჩვენ იმ დროს, როდესაც ეს კვლევითი ცენტრი ისევ ინსტიტუტის დონეზე აღდგება და განვითარდება ჩვენი მუშაობა, არა მარტო ოჯახის შესწავლით, არამედ ყველა იმ კვლევით, რაც ქართულ მეცნიერებას, ქართულ ეროვნულ საქმეს წაადგება. მადლობთ ყურადღებისათვის.

არქიმანდრიტი ადამი: უპირველეს ყოვლისა, გამოვთქვა ნამდვილად დიდ მადლიერებას, რომ კვლავ გვაქვს საშუალება შევიკრიბოთ სემინარებზე, რომელსაც ქრისტიანული

კვლევის საერთაშორისო ცენტრი აწვობს და გვანებიერებს და საშუალებას აძლევს უამრავ მეცნიერს თავისი ნააზრევი მოიტანოს საზოგადოებამდის. დღევანდელი თემა ალბათ მაინც ყველაზე უფრო საჭირობოტოა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ სემინარზე განცდა ასეთი გვაქვს, რომ ამ თემაზე საინტერესო არ უნდა იყოს სხვა რამ, მაგრამ რაც შეეხება ოჯახს, ეს არის ქვაკუთხედი ყველაფრისა და ამიტომაც ინტერესი საზოგადოებისა ცოტა უფრო ღრმა უნდა იყოს და ჩვენ უნდა გვქონდეს ეს ყველაფერი გათავისებული, მერე შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ სხვებმაც რამე უნდა გააკეთონ.

დღეს ქართულ საზოგადოებას არ გვაწუხებს ის, თუ რა დღეშია ოჯახი.

აი უწმინდესის ციტატები, ორივე მომხსენებელმა შემთხვევით ერთიდაიგივე არ მოიტანა. ყველაფერი კარგად იქნება, კარგად იქნება იმისთვის, ვინც ღმერთთან იქნება, ვინც ქვეყნის და უფლის ერთგული იქნება და ისინი მოესწრებიან ყველაფერს. ვლაპარაკობთ დღეს ტრადიციულ ოჯახზე, იმიტომ რომ გვაქვს არატრადიციულ ოჯახთა უზარმაზარი სპექტრი. შეგვახსენეს დღეს ამის თაობაზე, მაგრამ მერე ჩვენ შეგწერდებით და ვნახავთ, რომ ოჯახის ნგრევა ბევრად უფრო შორს წასულა, ვიდრე ჩვენ გვგონია.

რა არის ტრადიციული ოჯახი? ტრადიციული ოჯახი ესე განვმარტეთ, რომ ეს არის ოჯახის წევრების იმგვარი თანაარსებობა, თანაცხოვრება, რომელიც ეფუძნება ისეთ ურთიერთობებს, რომელიც გაჯერებულია ურთიერთპატივისცემითა და ურთიერთსიყვარულით. ტრადიციული ოჯახი არსებობს იმგვარ მიკროსოციალურ გარემოში, როდესაც სოციალური განათლების, პროფესიული საქმიანობის, ჯანდაცვის და სხვა სოციალური გადაწყვეტა, საერთო ქონების, ოჯახური ქონების მართვა და განკარგვა, საცხოვრებელი ადგილების განკარგვა და სხვა ოჯახური საკითხების გადაწყვეტა და პრობლემების გადაწყვეტა ხდება საერთო საკაცობრიო, ადამიანური და დეოტაბრივი ღირებულებებისა და სხვა ტრადიციული ღირებულებების აღიარებისა და პატივისცემის პირობებში. ჩვენი აზრით, ეს არის მთავარი, რაც უნდა ტრადიციულ ოჯახს გამოარჩევდეს ყველა სხვა ტიპის ოჯახისაგან. არა ოჯახის წევრთა რაოდენობა, იმიტომ რომ ტრადიციულია ოჯახი, სადაც მხოლოდ ქვრივი და მისი ბაღლი ცხოვრობენ. ტრადიციულზე უფრო ტრადიციულია თუკი ისინი სწორედ ამ ღირებულებებზე დაფუძნებულ ოჯახს წარმოადგენენ საზოგადოებაში.

რა არის არატრადიციული ოჯახი? უფრო სწორად, ჩვენ მარტო ოჯახს კი არ განვმარტავთ, ჩვენ ვთვლით, რომ დღეს უკვე კაცობრიობას ტრადიციული ოჯახის პარადიგმის ნაცვლად შესთავაზეს არატრადიციული ოჯახური პარადიგმა, რომელიც ფარავს ტრადიციებს და ჩვენ რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, წარმოვადგინოთ, რომ თურმე ჩვენ ბევრი რამ შენარჩუნებული გვაქვს, ის რეალობა, რომელსაც არა მარტო კვლევები წარმოგვიდგენენ, არამედ უბრალოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ერთი თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ ოჯახი, ოჯახური ღირებულებები, ეს ერთი და იგივეა პროგნოსტიკური თვალსაზრისით, მართლა პოტენციური გაქრობის წინაშე დგას. თვით ოჯახის მცნება დღეს მთლიანად შეცვლილია. ოჯახის ქვეშ სამწუხაროდ მოიაზრება ყველა ტიპის თანაცხოვრება. როდესაც ოჯახურ ტიპებს ჩამოთვლიან დღევანდელი სპეციალისტები 12, 14, 17 ტიპს განარჩევენ, რომლებშიაც გარდა მარტივი და რთული ოჯახებისა ან შორეული ნათესაობის არსებობისა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის ბირთვის ცვლილება ხდება. როდესაც ჩვენ ვწერთ ოჯახს, მუდმივად ბრჭყალებში ვწერთ, იმიტომ რომ ხმამაღლა ეს ყველას ასე ესმის,

ამერიკული ჩვევა ორი თითის დაქნევისა ჯერ ყველას არ აქვს ან ვინც ცუდად ხედავს, ან არ იცის მისი მნიშვნელობა, ეს ბრჭყალები რჩება ყველაფრის მიღმა, დღეს ოჯახში ყველაფერი მოიაზრება. გარდა არარეგისტრირებული ქორწინებისა, რომელიც მოიაზრებს უბრალოდ წყვილთა თანაარსებობას, თანაცხოვრებას, ეს სიტყვაც ასე შემოგვაპარეს, „წყვილი“ კანონში ჩაწერილია, რომლებიც მთლიანად არატრადიციულ სქესობრივ ურთიერთობებზეა დაფუძნებული. ეს არის უკვე ოჯახის ნგრევის დასაწყისი, ეს არის ის, რომლის დაკანონება და მრავალ საკანონმდებლო დოკუმენტში, რომლებიც შეიქმნა ევროპის ქვეყნებისათვის, უკვე წერია, როგორც იტყვიან, შავით თეთრზე. ამის გამოსწორებას ბევრი რამ დაჭირდება და სავარაუდოდ შესაძლებელია ჩვენც აღმოვჩნდეთ ამგვარი ფაქტების წინაშე.

თუ ჩვენ ვამბობდით, რომ ოჯახის ტრადიციული პარადიგმის დარღვევას დაეხმარა ისეთი ცოდვა, როგორცაა აბორტი, დამოკიდებულებების გაადვილება განქორწინებებისადმი, უქორწინებელი ადამიანების მიერ ოჯახის ტიპის მიკროსოციუმის შექმნა, მაგალითად, ქალბატონია არაა გათხოვილი და იგი შვილს აიყვანს ან შვილს გააჩენს და ამგვარად ცდილობს შექმნას ოჯახის ტიპი. ყველა ამ შემთხვევაში ოჯახისადმი პატივისცემა ქრება. ჩვენ ეს ყველაფერი რომ არ გვქონოდა 70-იან, 80-იან და შემდგომ წლებში და არ გვქონდეს დღეს, ოჯახი არ დადგებოდა ასეთი განსაცდელის წინაშე. ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ამ ფაქტორებზე უნდა ვილაპარაკოთ და თუ რაიმე ნოსტალგია გვაწუხებს ამ წლების მიმართ, იქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ყველანაირი ჭირის სათავე სწორედ ამ წლებში იყო. აი ის, რაც მოხდა 20-იანი წლების იდეოლოგიიდან, რევოლუციური ცვლილება 30-იან წლებში ოჯახისადმი დამოკიდებულებისა ეს არ იყო უბრალო დამოკიდებულება და ამაში თავისი როლი ისევე ეკლესიამ შეასრულა. ისტორია ამას გვასწავლის, გვეუბნება, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ გვასხოვდეს, რომ არ მომხდარა კომუნისტური იდეების ევოლუცია, უბრალოდ როდესაც შესაძლებელი იყო ეს, იმდროინდელმა ძალაუფლებამ ეს განაცხადეს. ამიტომ აქ ჩვენ რაიმე კანონზომიერების ძებნა არ გვჭირდება. ვიდრე იარსებებენ მატერიალისტები, რა სახელიც არ უნდა დაირქვან მათ, კომუნისტები, ბურჟუაზიული ლიბერალები თუ სხვა, მანამდის ეს ყველაფერი ასე „კარგად“ იქნება.

მე სულ ერთი კვირის წინ ჩამოვედი ერთი საერთაშორისო კონგრესიდან, სადაც ეს ყველაფერი მათ კარგად განუუცხადე. ჩემი მოხსენების თემა იყო სუროგატული ოჯახი და ვუთხარი, რომ ჩვენ იმისათვის არ დაგვინგრევია კომუნისტური სივრცე, რომ ესლა, ზოგიერთმა ექსპერტმა, თავს მოგვახვიონ ახალი მატერიალისტური სივრცე, რომ ბიოლოგი, რომელიც მატერიალისტია, მე ვერაფერს ვერ მასწავლის. მათ ლამაზად მიიღეს ეს ყველაფერი და სხვათაშორის რეზოლუციაშიც აისახა ეს ყველაფერი. ამიტომ ჩვენ ნუ გვრცხვენია ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების, შევაგებოთ ჩვენი ტრადიციული დამოკიდებულებები. თუ ჩვენ რამეს ვაგებთ, ვაგებთ იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით კარგად, რა გვინდა და თუკი დღეს რამეს ვუპირისპირდებით, ხშირად პირადულია ეს დაპირისპირება. როგორია პროცესი. არა მარტო მაშინ არ მომხდარა იდეოლოგიის ევოლუცია, დღესაც არანაირი ევოლუცია არ ხდება. დღეს იმგვარი ქაოსური პროცესები მიმდინარეობს, როდესაც ერთდროულად ხდება ევოლუციური პროცესები, რევოლუციური ლიბერალიზაცია, ტრანსფორმაცია და ა.შ. ყველაფერი ხდება ერთდროულად. თუ შედეგების მიხედვით არ ვიმსჯელებთ, თუ ყველაფერ ამას საფუძვლად არ დაედო, რასაც მრავალდიციპლინებულ კვლევას ვეძახით, ვერ გავიგებთ,

რა ხდება დღეს. არც ერთი ვიწრო დარგი დღეს ოჯახზე პასუხისმგებელი არაა, ამიტომაც, რომ დღეს ხშირად დემოგრაფებს არ ესმით ის პრობლემა, რომელიც არსებობს ეთნოლოგიაში. ეთნოლოგიური კვლევა შორს დგას სამედიცინო კვლევისაგან, სამედიცინო კვლევა შორს დგას სოციოლოგიური კვლევისაგან. დღეს ოჯახის კვლევა ასე არ შეიძლება. ამიტომ ჩვენ ოჯახის პრობლემა არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომელიც გნებავთ. იმიტომ რომ იდეა, ოჯახური კვლევის ცენტრი შეიქმნას, განწირული იქნება. ის არაფერს არ გააკეთებს, იმიტომ რომ ჩვენ ყველას გვექნება ერთი ხედვა და მეტი არაფერი, ხოლო რაც შეეხება ყველაფერ ამის საღვთისმეტყველო ხედვას, ისე ჰარმონიულად და არაჩვეულებრივად წარმოვიდგინა მამა ბიძინამ, რომ დამატება არ სჭირდება. ერთადერთი ვფიქრობდი, კარგია ეს ყველაფერი დავიხსოვოთ, მაგრამ ცოტა ძნელია ყველაფერი ამის დახსომება, მაგრამ ის სიმაღლე, რომელიც იყო წარმოდგენილი, ის სულიერება, ამასთან ჩვენ მისვლა გვჭირდება. მე ვახსენე სიტყვა მოდერნიზაცია და მინდა ვთქვა, რომ როდესაც ჩვენ ოჯახზე ვმუშაობთ, სხვა ტერმინოლოგიას ვიყენებთ, იმიტომ რომ ჩვენ დემოგრაფები არა ვართ და იმიტომაც, რომ დღეს უკვე მოდერნიზაცია ძველი პროცესია, ცოტა არქაული, დღეს პოსტმოდერნიზაციაზე ვლაპარაკობთ ჩვენ. იმიტომ რომ რაც ხდება დღეს, ეს მოდერნიზაცია აღარაა. იმიტომ რომ ეპოქა, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, არაა ეპოქა, ესაა პოსტეპოქა, ის ცვლილებები, რაც მოხდა ოჯახში, არის პოსტანთროპოლოგიური. ჩვენ ვლაპარაკობთ ოჯახის სახეცვლილებაზე, ოჯახის ურთიერთობათა მეტამორფოზზე. ამის კლასიკური მაგალითია სუროგატული ოჯახი. აი, სუროგატული ოჯახის რვა ტიპი წარმოვადგინეთ ჩვენ, რა არის აზრი ამისი? სუროგაცია არის ადამიანთა ხელოვნური განმრავლებისადმი მიძღვნილი ბიოსამედიცინო ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელია ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვი გაჩნდეს სინჯარაში, მაგრამ იგი გამოზარდოს არა იმ დედამ, რომლის კვერცხუჯრედიც განაყოფიერდა, არამედ სრულიად სხვა ქალბატონმა, რომელიც დაქირავებულია ამ მიზნით და წარმოადგენს 9 თვიან ინკუბატორს ამ ბავშვის გასაზრდელად. ამგვარმა ოჯახურმა ტრანსფორმაციამ, ამგვარმა გადაგვარებამ ადამიანთა ურთიერთობისა, ჩვენ იმდენი სულიერი, ზნეობრივი პრობლემის წინაშე დაგვაყენა, რომ როდესაც ერთი წლის წინ უცხოელ მეცნიერებთან ერთად საეთაშორისო კონფერენცია მოვიწვიეთ, რაც სუროგატულ დედობას მიეძღვნა, ამ კონფერენციას სუროგატული ბიზნესცენტრის მესვეურებმა უწოდეს ანტიჰუმანური აქტი, ხოლო ჩვენ, რისხვა უშვილო ცოლ-ქმრისა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება შორსაა წასული, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა არის შვილი, რას უნდა ემსახურებოდეს შვილის ყოლა და რა არის ოჯახი. ნებისმიერი დღევანდელი ჩვენი სურვილი არის მთავარი. თუ ამას მივყევით, დაინგრევა ყველა ტრადიცია. ყველაზე უფრო რადიკალური გამოვლინება სუროგატული ოჯახისა, ესაა მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც უნდა, რომ შვილი ჰყავდეს. თუ გავიხსენებთ იმ სამართლებრივ რეალიას, დღეს არავის უნდა ქორწინებაში შესვლა. დასავლეთში, რომლისკენაც ასე ვისწრაფვით, ქორწინება არის უდიდესი მატერიალური წამგებიანი პროცედურა. ამიტომაც მათთვის შეიქმნა სუროგატული ტექნოლოგია. მარტოხელა მამაკაცი უკვეთავს კვერცხუჯრედს, უკვეთავს ქალს, რომელშიც იქნება მისი სუროგატული შვილი და ამგვარად გაჩნდება ბავშვი, რომელსაც დაბადების მოწმობის გრაფაში „დედა“, არაფერი ჩაწერილი არ იქნება, იმიტომ რომ, მას დედა არ ჰყავს. ხაზი გასმულია, მამა არის მარტოხელა, სუროგატული მამა. ჩვენ ვლაპარაკობთ, ნამდვილი უნდა იყოს და

არის ოჯახის სიწმინდის დაცვა და ამის სწავლება. დღეს ყველამ, ჩემი აზრით, უნდა გავითავისოთ და ვასწავლოთ ახალგაზრდა თაობას მარტო კი არა, ჩვენ სწორედ უფროს თაობასთან გვაქვს პრობლემები, უფროსი თაობა მოდის და გვთხოვს ლოცვა-კურთხევას იმაზე, რომ მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა ხელოვნური განაყოფიერებით და სუროგაციით გააჩინონ შვილები, ესენი არიან იმის კატალიზატორები, მე შვილიშვილი მინდა, მე შვილთაშვილი მინდა. რის ფასად, ამას არ ფიქრობენ. იმიტომ რომ, ეს იდეოლოგიაა მატერიალისტური, განსულიერება და გაეკლესიურება, მხოლოდ ფორმალური აღმოჩნდა. როდესაც ლაპარაკი იყო სასკოლო ასაკის ბავშვების სექსუალურ აღზრდაზე, თქვენ იცით, რა ქაოსი ატყდა. ერთადერთი რაც ჩვენ შევთავაზეთ, კონცეფცია, იყო ასეთი, ამის ნაცვლად შემოვიღოთ და ვასწავლოთ ოჯახური ეთიკა.

რა თქმა უნდა, არავინ არ მიიღო, მაგრამ ეს მარტო იმიტომ კი არ ვთქვით მაშინ ჩვენ, რომ ამ სწავლებას რაიმეთი დაგვირისპირებოდით, იმიტომ რომ ვხედავდით, რომ ოჯახის ღირსება არ გვაქვს გათავისებული. თუ არ მივა ადამიანი და თვითონ არ გადადგამს ამ ნაბიჯს, ჯერჯერობით არავინ არ დაგიჭერს და არ წაგიყვანს ძალად. არ ვასწავლით ცოლ-ქმრული ურთიერთობის და ცოლ-ქმრული სიყვარულის მაღალსულიერებას, სიწმინდეს, საიდუმლოებრივობას, ღვთისგან კურთხეულობას, არადა ცოლ-ქმრული ურთიერთობა სწორედ ასეთია, იგი წმინდაა. სხვანაირად მასზე წმინდა წერილში არ დაიწერებოდა, ეს არის ის, რაც უფალმა აკურთხა. ჩვენ ამას არ ვასწავლით და სამაგიეროდ ვდებულობთ კიდევ პასუხს. ასე რომ, თუ შევაჯამებთ ამას ყველაფერს, გარდა მაღლიერებისა, გვაქვს უზარმაზარი შეშფოთება, იმიტომ რომ დღეს არატრადიციული ოჯახები ფეხს იკიდებს. ის, ვინც არატრადიციული ოჯახის პარადიგმის მსხვერპლი გახდა, თავს იტყუებს, თითქოს ბედნიერია და მე მინდა გითხრა, რომ ის მაგალითი, რომელიც იქაც ვთქვი ხმამაღლა, პრობლემა უშვილობის არსებობდა ერთ ოჯახში, გავაგზავნეთ, სიწმინდეები ჩამოვუტანეთ, ყველანაირად ვეხმარებოდით, მას ქონდა რაღაც ფსიქოლოგიური პრობლემა, ცნობილია ასეთ შემთხვევაში ქალი ვერ ფეხმძიმდება ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი წესრიგში აქვს, მოვიდა ჩვენთან, თქვა, მე ვიცი, ეს ცოდვაა, არ უნდა გამეკეთებინა, დავიქირავე სუროგატი დედა და იგი 5 თვის ფეხმძიმეა უკვე. ჩვენ უკვე ვდგევართ ორსული ქალის წინაშე და ბავშვის წინაშე, მნიშვნელობა არა აქვს რაგვარად მოხდა ეს ყველაფერი, მაგრამ ვთქვათ ყველაფერი დამთავრდა, დაიბადა ეს ბავშვი, რამდენიმე თვის შემდეგ იწყება ოჯახური კონფლიქტი სრულიად გაუგებარი, აბსურდული მიზეზებით ცოლ-ქმარს შორის, ქმარი ტოვებს ოჯახს და მიდის, იმიტომ რომ ბედნიერება აუცილებლად მიუღწეველი დარჩება, როდესაც ჩვენ ბუნების კანონების გადათელვა გვსურს, ღვთის ნების წინააღმდეგ გვინდა წასვლა. ეს მოხდა იმიტომ, რომ მასში ძლიერი არ იყო ოჯახი, როგორც ღირებულება. ღირებულებებისადმი დამოკიდებულება არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარი. იმიტომ, როდესაც ჩვენ ამ საკითხებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში, თავიდათავი უნდა იყოს მართალი და სწორი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება იყოს ის, რაც აღწერილია წმინდა წერილში, ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში ეკლესია ასწავლის, იმიტომ რომ, ჩვენ კი შესაძლებელია შევქმნათ რაციონალური ოჯახი, რომელიც რაღაც ტრადიციებისადმი იქნება ერთგული, მაგრამ გვახსოვდეს, ჩვენ ტრადიციებს ვგულისხმობთ და ვლაპარაკობთ სულიერ,

დგომები, ეკლესიურ ღირებულებებზე. სხვანაირად ამ პრობლემის გადაწყვეტა ვერ მესახება მიზნად, ხოლო წინ ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი პროექტის მიღება, ერთგვარი კანონების, რომლებიც არაერთხელ გვანანებინებს იმას, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ოჯახს ვერ ვცემდით და ეხლაც ვერ ვცემთ პატივს. დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

პროფ. ლელა მენაბდიშვილი: თავს ნამდვილად არ შეგაწყენთ, ძალიან მოკლედ ვიტყვი. მე მინდა გავაცნოთ ჩემი ორი კვლევის შედეგები. 2002 წელს ჩავატარე სტუდენტებთან სოციოლოგიური გამოკვლევები და გავიმეორე 2010 წელს და მინდა შედარებითი ანალიზი გავაკეთო. ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ამათი დამოკიდებულება რიგი საკითხებისადმი. თუ 2002 წელს სოციოლოგიური გამოკვლევების დროს ვეკითხებოდით, რამდენად სწორად მიგანჩიათ სექსუალური ცხოვრების თავისუფლება, ვთქვით ისინი იძახდნენ, მხოლოდ ვაჟების შემთხვევაში, და ქალების შემთხვევაში – ამას უარყოფდნენ, ეხლა გამოჩნდა, რომ პირიქით ორივე მხრივ არის პასუხი – „რა მოხდა მერე“, ასეთი პასუხია, დასაშვებია ორივე მხრიდან. თუ ადრე თანაცხოვრებაზე საერთოდ არ საუბრობდნენ და არ რეაგირებდნენ, ეხლა გვეუბნებიან, რომ თანაცხოვრება სრულიად მისაღებია, ორი, სამი, ოთხი წელი იცხოვრონ ერთად, თუკი შეეწყობიან ერთმანეთს, მერე დაქორწინდებიან, რა არის ამაში ცუდი, თუ არადა გაშორდებიან და სხვას მოძებნიან.

ეს პასუხები ისე თავისუფლად იყო, სიმართლე ვითხრათ გავვიჟღი, მერე სურვილი მქონდა მე თვითონ დავსწრებოდი ამ გამოკითხვას, რახან სტუდენტები იყვნენ და ვთვლიდი სტუდენტებს ცოტა სხვანაირი აზრი უნდა ჰქონოდათ ჩამოყალიბებული. მე თვითონ შევდიოდი ჯგუფებში, აქ იყო კამათი თვითონ სტუდენტებს შორის, რა მოხდა, პირიქით ძალიან კარგია, რამდენიმე ისიც თქვა, ჩვენ უკვე გვაქვს ასეთი თანაცხოვრება, მერე რა, თუკი იქნება საჭირო, ჩვენ დავექორწინდებით, თუკი შევატყვეთ ვერ შევეწყვეთ, ჩვენ გავშორდებით. ე.ი. იმაზე, რაზეც ადრე, 10-12 წლის უკან არ ვლაპარაკობდით, ეხლა ძალიან თავისუფლად ლაპარაკობენ.

იგივე ვითარებაა „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“. დავსვით ასეთი შეკითხვა, რომ რა აზრისა ხართ „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“ და სხვათა შორის ბიჭებმა უფრო შეიკავეს თავი და თქვეს, რომ ამაზე დადებითი წარმოდგენა აქვთ და ეს შენარჩუნებული უნდა იყოს, ჩვენი ტრადიცია ასე მოდის და ამას პატივი უნდა ვცეთ. გოგოები, პირიქით, ძალიან თავისუფლად იყვნენ ამ საკითხის მიმართ დამოკიდებული, შეიცვალა გარემო და ამაზე საუბარიც კი უხერხულად მიანჩიათ, ეს 21-ე საუკუნეა.. თუმცა სტუდენტების 96-98 პროცენტი გვეუბნება, რომ ოჯახმა ჩემს სოციალურ განვითარებაზე ძალიან დიდი გავლენა იქონიაო და იგივე 98 პროცენტი მინიშნავს, რომ ოჯახმა კარგი აღზრდა მომცაო, 78 პროცენტი მინიშნავს, რომ ტრადიციისადმი ერთგულება ჩამომიყალიბაო და როცა ასეთ რაღაცეებს ვეკითხებით, იქ ძალიან გახსნილად გვეუბნება. მაშინ გამოდის, რომ აქ ტრადიციები აღარაა, ირღვევა ტრადიციები. ხანდახან კიდევ ვეკითხებოდი, იცით რა არის ტრადიცია? ვეკითხებოდი, იმდენად მაინტერესებდა და იმდენად კამათი იმართებოდა ამ სტუდენტებს შორის, ხშირად ვლიზიანდებოდი, იმიტომ რომ მეც დაახლოებით ამ ასაკის ბავშვები მყავს, მერე დამოუკიდებლობაზე მივეცი კიდევ ასეთი შეკითხვა - „მოგცათ თუ არა ოჯახმა დამოუკიდებლობა. ეს ძალიან არ მოსწონთ, იმიტომ რომ ოჯახში დამოუკიდებლობას არ უყალიბებენ. 2010 წელს შეკითხვაზე – „ისურვებთ თუ არა ქორწინებაზე მშობლების თანხმობას“, უმეტესობა პასუხობდა - „კი“, ნამდვილად, აუცილებელია მშობლების

თანხმობა, ამ ბოლო დროს ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიაჩვენა, რომ არაა აუცილებელი მშობლების თანხმობა ქორწინებაზე. მითუმეტეს, რომ გვეუბნებიან მშობლების აზრი უნდა გავიზიაროთ, ეს ოჯახმა გვასწავლაო. კი, ასწავლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეალურად ის არ უნდათ. ასწავლა ოჯახმა, მაგრამ თვითონ არ იღებენ. ძალიან გულნაკლულები არიან, რომ დამოუკიდებლობა არა აქვთ. მოსწონთ ამერიკის გამოცდილება, დაამთავრებს თუ არა ბავშვი სკოლას, უნდა გაუშვა, რაც უნდა, ის აკეთოს, რა მოხდა. მოსწონთ ევროპული ტრადიციები. როდესაც შევეკითხეთ ძალიან მოკრძალებული ფორმით, ვის ისურვებდით, თქვენს გვერდზე მეზობლად რომ ეცხოვრა, სხვა სექტის წარმომადგენელს, ნარკომანს, ან ჰომოსექსუალისტებს, თქვენ რა აზრისა ხართ? იცით რა მიპასუხეს? „რა მოხდა მერე, ჩვენ ხომ თავისუფალ ქვეყანას ვაშენებთ, ეს ხომ 21-ე საუკუნეა და რა მოხდა მერე?“ ფაქტობრივად გამოვიდა, რომ ძალიან წინააღმდეგობაში ჩავვარდით.

ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, რას აძლევდა მათ სკოლა, რას აძლევდა ოჯახი, რას აძლევდნენ მეგობრები. აღმოჩნდა, რომ სკოლა აძლევს განათლებას, ისიც 60 პროცენტზე ცოტამ აღნიშნა. მეგობრები აძლევენ მეგობრებთან ურთიერთობას. დანარჩენი ყველა, რაც ჩამოვთვალე, კარგი აღზრდა, მშობლების პატივისცემა, რელიგიური რწმენა, ოჯახი უყალიბებს ამას. ერთ რამეს მივალწიე, ვინც არის მორწმუნე და შეტანილი იყო კითხვები, „იცავ თუ არა მარხვებს“, „გკავს თუ არა მოძღვარი“. ვინც საერთოდ არ ცხოვრობს ეკლესიურად, ყველამ აღნიშნა, ის რომ რელიგიური მსახურებისადმი და თვითონ ჩვენი პატრიარქისადმი ძალიან დადებითი დამოკიდებულება აქვთ, მაღალი ნდობა. ისეთ სიტუაციაში ჩავვარდი, რა დასკვნა გამოიმეტანა არ ვიცოდი. ნდობა აქვთ, მათაც ვისაც სწამს და ვისაც არ სწამს, მაგრამ რაღაც-რაღაცებს თვლიან, რომ 21-ე საუკუნეში თავისებურად უნდა გადაწყვიტონ. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ტრადიციული ღირებულება ირღვევა. ნამდვილად აღარაა ის ღირებულებები, რაც უნდა იყოს. ის, რაც 10 წლის წინ გვეჩოთირებოდა და ვერ ვიღებდით, ესეა ძალიან თავისუფლად იღებენ. შემოვიდა ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ამ ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ უყურონ ტელეგადაცემებს, წაიკითხონ, ინტერნეტში შევიდნენ და რაც პირადად მე წლების წინ მეჩოთირებოდა და ვლიზიანდებოდი, როდესაც ვისმენდი და ბავშვებსაც ვეჩხუბებოდი, რა არის, რა სისულელეებს უყურებთ, ესეა, შეიძლება ითქვას, რეაქცია აღარ მაქვს. ამან განაპირობა ის, რომ ქვეცნობიერში დაიღეკა, ამ ახალგაზრდების ქვეცნობიერში დარჩა ეს. ესეა რაღაც ეტაპზე გამოჩნდა, იგივე სექსუალურ თავისუფლებაზე, იგივე თანაცხოვრებაზე, იგივე მშობლების თანხმობაზე ქორწინებაში და რაც დრო გავა, ეს უფრო ფართოდ იქნება. რითიც ჩვენ ვამაყოფდით წლების წინ, დაგვეზრევა, გაგვიქრება ხელში. მე ერთადერთი დიდი სურვილი მაქვს, იქნებ რამენაირად მოხდეს თანამშრომლობა და რადგან ეკლესიის მსახურებისადმი აქვთ რწმენა, იქნებ რაღაცნაირად შევიმუშავოთ პროგრამა, რომ ახალგაზრდა თაობა დაკარგული არ აღმოჩნდეს ჩვენთვის. ეს იქნება ჩემი დიდი სურვილი. თავს აღარ შეგაწყენთ. მაღლობა ყურადღებისათვის.

პროფესორი ლავრენტი ჯანიაშვილი: მოგესალმებით, სიტყვას შევამოკლებ, რამდენადაც შეიძლება. უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც ვსაუბრობთ ოჯახზე, ოჯახურ ტრადიციებზე ჩვენს გარემოსთან დაკავშირებით, აქ ძალიან ბევრი ასპექტია, რა თქმა უნდა გასათვალისწინებელი. გასათვალისწინებელია, რა პროცესები მიმდინარეობს

დღეს, გასათვალისწინებელია, როგორ იცვლებოდა ეს ტრადიციები დროთა განმავლობაში. და შესასწავლია პერსპექტივა, რა მოხდება მომავალში. მე დავეთანხმები გამომსვლელთა უმრავლესობას, რომ ამ საკითხების კვლევა საჭიროა მულტიდისციპლინარულ საფუძველზე და მაშასადამე აუცილებელია ისიც, რომ ბოლო ხანებში მცირე ბიუჯეტზე მყოფი ჩვენი მეცნიერების მდგომარეობა გამოსწორდეს როგორცაც, შესაძლებლობა მიეცეთ ფუნდამენტური დისციპლინის წარმომადგენლებს, რაც შეიძლება მეტი კვლევა ჩატარდეს ამ მიმართულებით და შესაბამისად გამოკვლეული იყოს ეს პრობლემატიკა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს იმისას, რომ პროგნოზირება გაკეთდეს, რა მიმართულებით წარიმართება ეს ყოველივე და რა შედეგებს მოუტანს ქართულ ოჯახს. მე მინდოდა სხვა საკითხებზეც მესაუბრა, მაგრამ რადგან აუდიტორია დაღლილია, თავს შევიკავებ ამჟამად. დიდი მადლობა.

პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი: მე მგონი ჩვენ დღეს აქ წარმოვაჩინეთ ის პრობლემები, ის დადებითი და ის უარყოფითი მომენტები, რაც ახასიათებს ქართულ ოჯახს დღევანდელ რთულ სიტუაციაში. მე მიმაჩნია, რომ ის ამოცანა, რაც მისმა უწმინდესობამ დასვა ჩვენი ცენტრის წინაშე, კონკრეტულად ოჯახთან დაკავშირებით ყველა პარამეტრი მეტ-ნაკლებად იქნა წარმოჩენილი, მაგრამ ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით, ჩვენი ამოცანაა, რომ ეს კვლევები გაგრძელდეს. იმიტომ რომ ქართული ოჯახი დღეს მართლა ძალიან რთულ ვითარებაშია, მაგრამ მე იმედს გამოვთქვამ, მინდა დავასრულო იმედიან განწყობაზე, ის რომ ჩვენ ახალგაზრდობას მართალია ბოლო 3-4 წელი ინტენსიურად შთააგონებენ არატრადიციული ქართული ფასეულობებისადმი მიდრეკილებას, ის რომ მათ აქვთ უდიდესი რწმენა პატრიარქის მიმართ, მათ აქვთ ნდობა ქართული სამოციქულო ეკლესიის მიმართ, ეს იმის საფუძველი გახდება, რომ ობიექტური რეალობის რაღაცა რადიკალური შეცვლის შემდეგ, როცა ახალი ადამიანები მოვლენ სულ სათავეში, ახალგაზრდობასაც, ის ხომ ნედლია, ჭირდება უფრო ძლიერი მათგანიზებული, ე.ი. ყველაფერი დაკარგული არაა, ჩვენ ამ ახალგაზრდებს ისევ შემოვაბრუნებთ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ქართულ ფასეულობებთან და მომავალი ქართული ოჯახი ისევ ისეთი ძლიერი იქნება, როგორც ადრე. დიდი მადლობა მობრძანებისა და საინტერესო მოხსენებისათვის.